

ცნებების „ეროვნული უმცირესობა“ და „დიასპორა“  
განსაზღვრისათვის.

ნაზიბროლა რამიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე კავკასიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2013

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში მიმოხილულია თანამედროვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყოფის მსოფლიოს ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნება-რეალიები, როგორცაა „ეროვნული უმცირესობა“ და „დიასპორა“. გლობალიზაციის პირობებში საკმაოდ გაიზარდა მათი როლი და მნიშვნელობა სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომის მიზანია, ცნებების „ეროვნული უმცირესობისა“ და „დიასპორის“ განსაზღვრით, უკეთ იქნას გაგებული საქართველოში მცხოვრები მულტიეთნიკური მოსახლეობის სამართლებრივი სტატუსი და მათი უფლება-მოვალეობანი. ნაშრომში ხვადასხვა სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით აღწერილია 1980-იან წლებში ეთნიკური სომხების ყოფას აფხაზეთში, მათი სამართლებრივი სტატუსი და როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში.

მეთოდოლოგიურად, ნაშრომი, წყაროების ანალიზის (კონტენტ ანალიზი) კატეგორიაში მოიაზრება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემაზე ქართული წყაროების სიმცირის გამო ნაშრომში ძირითადად გამოყენებული უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ეროვნული უმცირესობა, დიასპორა, ეთნიკური უმცირესობა, ერი, სახელმწიფო.